

ეროვნული ბანკის ახალი რეგულაციების გავლენა საბანკო და საფინანსო სექტორზე

(2) ალბერტი მერებაშვილი

(3) სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნეს სკოლაში

(4) პროექტის ხელმძღვანელი: ნიკოლოზ ქოიავა, ასოცირებული პროფესორი

(5) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

(6) თბილისი, (2019)

გამოყენებული აბრევიატურა

მშპ- მთლიანი შიდა პროდუქტი

სეზ - საქართველოს ეროვნული ბანკი

G20 – Group of twenty

GRAPE- General Risk Assessment Process

IOSKO- International Organization of Securities Commissions

SME- Small and Medium-sized Enterprises

ნაშრომში გამოყენებული ცხრილების ნუსხა

გრაფიკი 1: რეალური მშპ-ისა და სესხების წლიური ზრდა 2012-2017 წლები

ცხრილი 1: ბანკების საკრედიტო პორტფელის კლასიფიკაცია ხარისხის მიხედვით 2017 წელი

გრაფიკი 2: კომერციული ბანკების მიერ გაცემული მთლიანი სესხები, ვადიანი და ვადაგადაცილებული სესხები.

გრაფიკი 3: კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხები

გრაფიკი 4: სესხები უზრუნველყოფის მიხედვით

გრაფიკი 5: კომერციული ბანკების მიერ შინამეურნეობებზე გაცემული სესხები

ცხრილი 2: სესხის მომსახურების კოეფიციენტები

ცხრილი 3: სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტების მაქსიმალური მაჩვენებელი

ცხრილი 4: კვლევის მეთოდოლოგიის ცხრილი

სარჩევი

1. თავსართი	i
2. ლიტერატურაში გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა.....	ii
3. ნაშრომში გამოყენებული ცხრილებისა და გრაფიკების ნუსხა.....	iii
4. სარჩევი.....	v-v
5. აბსტრაქტი.....	1-2
6. შესავალი.....	2
7. პრობლემის არსი.....	4
8. კვლევის მიზანი.....	5
9. კვლევის ამოცანა.....	6
10. საფინანსო სფეროსა და საბანკო-საფინანსო რეგულაციების შესახებ კვლევების, სამეცნიერო ნაშრომებისა და ლიტერატურის მიმოხილვა.....	8
11. საქართველოს საბანკო სისტემა.....	15
11.1 ბაზელის კომიტეტი.....	15
11.2 საქართველოს საბანკო სფეროს განვითარების ეტაპები.....	19
11.3 კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკა და რეგულირება.....	23
12. ჭარბვალიანობა და საბანკო სექტორის სტაბილურობა.....	27
12.1 საბანკო სექტორის გავლენა ეკონომიკის ზრდაზე.....	27
12.2 ჭარბვალიანობა და საბანკო სისტემის მიერ დაკრედიტების დონე.....	28
13. ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული რეგულაციები.....	35
14. რეგულაციები მომხმარებელთა უფლებების დაცვის ახალი წესების შესახებ (2017 წელი).....	37
15. კომერციული ბანკებისათვის საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრა.....	39
16. რეგულაციები ფიზიკურ პირებზე სესხის გაცემის შესახებ.....	40
17. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და მათი რეგულირება.....	45
18. ჩატარებული კვლევის მეთოდოლოგია (რაოდენობრივი, თვისობრივი და მეორადი კვლევა).....	48

19. გამოკითხვის შედეგები და დასკვნები.....	52
20. რეკომენდაციები.....	55
21. ბიბლიოგრაფია.....	57-58
22. დანართი.....	59

აბსტრაქტი

ფინანსური სექტორის რეგულაციები, როგორც ფინანსური რისკებისა და საფინანსო სფეროს კონტროლისა და მართვის ერთ-ერთი რგოლი, ფართოდ გამოიყენება განვითარებულ მსოფლიოში. ისევე როგორც განვითარებულ ქვეყნებში, საქართველოშიც მოქმედებს რეგულაციები, რომელთა მეშვეობითაც რეგულირდება საფინანსო სექტორი. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, რომელიც ახორციელებს საფინანსო სექტორის ზედამხედველობას, 2017-2018 წლებში მნიშვნელოვნად გაზარდა მიღებული რეგულაციების რიცხვი, რომელთა ნაწილიც 2019 წლის 1 იანვრიდან შევიდა ძალაში. სავარაუდოდ ახალი რეგულაციების შემუშავება და მიღება კვლავ გაგრძელდება. რეგულაციები განსაკუთრებით აუცილებელია ისეთი დარგებისათვის, რომლებიც იღებენ დეპოზიტებს და გასცემენ კრედიტებს. მნიშვნელოვანი საკითხია როგორ მოქმედებს რეგულაციები მთლიანად ფინანსური და არამხოლოდ ფინანსური სექტორის ზრდაზე. დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე ამ მხრივ ჩატარებული კვლევა ძალიან მნიშვნელოვანია.

ჩვენი კვლევის ამოცანაა შევისწავლოთ საქართველოში არსებული საფინანსო ინსტიტუტების დამოკიდებულება ახალ რეგულაციებთან მიმართებაში და ამ რეგულაციების გავლენა ეკონომიკაზე. განვსაზღვროთ თუ რა სარგებელი შეიძლება მოუტანოს რეგულაციების გამკაცრებამ მთლიანად ეკონომიკას. განვსაზღვრავთ იმ ჩარჩო-პირობებს, რომლის საფუძველზეც დგინდება ახალი რეგულაციები. შევისწავლით იმ პროცესებს, რომლებზედაც გავლენას ახდენს საფინანსო სფეროში მიღებული რეგულაციები. ნაშრომში განვიხილავთ რეგულაციების მიღების დადებით და უარყოფით მხარეებს, როგორ გავლენას მოახდენს ფინანსური ერთეულების ფინანსურ მდგომარეობაზე. კვლევის მიზნიდან გამომდინარე ნაშრომში განხილულ იქნება საფინანსო სექტორის რეგულირების აუცილებლობა და განვითარებული ქვეყნების ზოგადი პრაქტიკა.

ნაშრომი წარმოადგენს საქართველოში ახალი - 2017-2018 წელს მიღებული რეგულაციების გავლენის კვლევას ეკონომიკასა და ფინანსურ სექტორზე. კვლევის

ფარგლებში მოცემულია საქართველოს ფინანსური სექტორის ანალიზი და მისი გავლენა ეკონომიკაზე.

Abstract

. Financial Sector Regulations, as one of the Management of financial Risks and financial Controls, are widely used in developed countries. As well as in developed countries there are regulations in Georgia too, through which the financial sector is regulated. The National Bank of Georgia, which carries out the supervision of financial sector has significantly increased the number of regulations in 2017-2018 years and part of these Regulations entered into force from the 1st January 2019. Presumably there will be developed and adopted new regulations. These regulations are especially important for those sectors who receive deposits and give credits. One of the important issues is, how the regulations effect not only the whole growth of the financial sector, but also the other sectors. The task of our research is to study the attitude of financial institutions in Georgia to new regulations and the effects of these regulations on the economy. We need also to determine which benefits could be reached using with these regulations and the terms under which new regulations could be set. In this Master Thesis will be discussed the positive and negative sides of regulations. The purpose of the study is to discuss the necessity of regulating the financial sector and general practice of developed countries. The work is the study of the impacts of the new regulations in 2017-2018 in Georgia on the economy and the financial sector. Within the scope of the survey, the financial sector analysis of Georgia and its impact on the economy is the most important issue.

შესავალი

ქვეყნის საფინანსო-საკრედიტო სისტემაში მნიშვნელოვან სამართლებრივ ელემენტს წარმოადგენს საბანკო და საფინანსო რეგულირება, რომელიც არის საფინანსო სისტემის-